საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№32 (6258) ხუთშაბათი, 1990 წლის 15 მარტი ფასი 3 კაპ.

წლის პირველი კვარტლის დაკვალებანი — ვადამდე!

სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობისათვის

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობა

12 მარტს კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობამ.

ყრილობა გახსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.** მან განაცხადა, რომ 2245 სახალხო დეპუტატიდან წინასწარ რეგისტრაციაში გატარდა 2092 კაცი. ელექტრონული სისტემის საშუალებით რეგისტრაციამ დარბაზში დააფიქსირა 2087 დეპუტატის დასწრება.

რიგგარეშე ყრილობა გახსნილად ცხადდება. კრემლის ყრილობათა სასახლეში ეროვნ. საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

შეკრებილებმა ზოგიერთი დაზუსტება შეიტანეს ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში, თქვა შემდეგ თავმჯდომარემ, არ არის ლიტვის სს რესპუბლიკის წარმომადგენელი, იქ მიმდინარეობს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, ინფორმაცია, რომელიც იქიდან მოდის, საკმაოდ შემაშფოთებელია. ჯერჯერობით არა გვაქვს ოფიციალური დოკუმენტები და გადაწყვეტილებანი, რომლებიც სესიამ უკვე მიიღო და კიდევ მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, ინფორმაცია, რომელიც ჩვენთან მოდის, მოწმობს, რომ იქ მიღებული გადაწყვეტილებანი თვით რესპუბლიკის, ხალხისა და მთელი ჩვენი სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებსა და ბედს ეხება.

ყრილობამ დავალება მისცა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, უწინარეს ყოვლისა, ეროვნებათა საბჭოს, უზენაესი საბჭოს პალატების კომისიებსა და საბჭოს პალატების კომისიებსა და კომიტეტებს, საბჭოთა მთავრობას დაიწყონ იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის შესწავლა, რომლებსაც იღებს ლიტვის სსრ უზენაესი საბჭო, მისცენ ამ გადაწყვეტილებებს საჭირო შეფასება, გამოიტანონ აქედან გამომდინარე დასკვნები.

დეპუტატებმა აირჩიეს ყრილობის სამდივნო.

შემდეგ ისინი შეუდგნენ ყრილობის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის დამტკიცებას.

შეკრებილებმა უდისკუსიოდ შეიტანეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის ახლად არჩეულ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებების ცნობა.

2. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესება.

3. სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა.

დათქვეს, რომ ყრილობის მუშაობა სამ დღეს გასტანს. გახსნის დღეს გადაწყდა განიხილონ ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილებების ცნობის საკითხი. შემდეგ მოისმინონ მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების საკითხზე, შეუდგნენ მის განხილვას. დღის დამლევისათვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მეორე დღე შეიძლება მიეძღვნას სსრ კავშირის პრეზიდენტის კანდიდატურების დასახელებასა და განხილვას, არჩევნების მოწყობას. ოთხშაბათს დილის სხდომაზე შეიძლება მოისმინონ ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ ხმის დამთვლელი კომისიის მოხსენება და მიიღონ შესაბამისი დადგენილება.

ხმების უმრავლესობით ასეთი წესი მიიღეს.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას. სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ბ. ვ. გიდასპოვმა** მოხსენებაში ილაპარაკა მეორე ყრილობის შემდგომ პერიოდში სადეპუტატო კორპუსის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების, ცალკეულ საარჩევნო ოლქებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არჩევნების შედეგების შესახებ.

სამანდატო კომისიის წინადადებით ყრილობამ ხმების უმრავლესობით დაამტკიცა სსრ კავშირის ახლად არჩეულ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებანი: საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისაგან — ნ. თ. ნაუმოვისა; საბჭოთა კავშირის ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციისაგან — ნ. ი ტკალენკოსი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — ნ. პ. კუსტარიოვისა; საარჩევნო ოლქების მიხედვით — ი. ა. სპირიდონოვისა და გ. ვ. კულიკისა.

ამის შემდეგ ყრილობამ დაიწყო სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების საკითხის განხილვა. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. ლუკიანოვმა.**

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 11 მარტს მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების შესახებ წინადადებათა შეტანა.

2. სკკპ XXVIII ყრილობის მოწვევის, პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობის ვადები, წარმომადგენლობის ნორმა და ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტი.

4. სკკპ ცენტრალური საკონტროლო - სარევიზიო კომისიის დებულების პროექტი.

5. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარ გასცნობოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტსა და სხვა მასალებს დღის წესრიგის საკითხებზე.

გაიმართა კამათი.

პლენუმზე შეიქმნა სარედაქციო კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტის დამუშავებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხვა დოკუმენტების მომზადებისათვის.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საკანონმდებლო ინიციატივის წესით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობის განსახილველად შეიტანოს პოლიტიკური სისტემის საკითხებზე (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლები) სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ა. კოპტიუგმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია ნ. პ. კუსტარიოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღემდე 9 დღე დარჩა. არჩევნებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ახლა დეპუტატობის კანდიდატები ხვდებიან ამომრჩევლებს, აცნობენ თავიანთ შრომით ბიოგრაფიას, წინასაარჩევნო პროგრამის თეზისებს, იღებენ მათგან განაწესებს.

12 მარტს ლუხვანოს №24 საარჩევნო უბანში შემავალ სოფელ ზარაგულაში მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივანთან ემზარ კონსტანტინეს ძე გუბავასთან.

დეპუტატობის კანდიდატმა ე. გუგავამ გამოსვლაში ვრცლად მიმოიხილა რესპუბლიკისა და მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესები. ილაპარაკა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავის წინასაარჩევნო თეზისებში დაყენებულ საკითხებს. ამომრჩეველთა სურვილის შესაბამისად ისაუბრა ეკოლოგიური და დემოგრაფიული პროცესების გაჯანსაღების, მიგრაციის პრობლემებზე.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსულებმა მიხეილ, ვიტალი, არდევან, გიზო კოპალიანებმა და სხვებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კოლმეურნეობის გაუქმების და გლეხურ მეურნეობებზე გადასვლის, ცაგერის ჭალის აეროპორტის მიმდებარე, ადრე მათ კუთვნილებაში მყოფ ტერიტორიაზე ზარაგულელთათვის გარკვეული ფართობის გამოყოფის, სოფლად მისასვლელი გზის კეთილმოწყობის და სხვა საკითხებზე.

დეპუტატობის კანდიდატს ამომრჩევლებმა დაუსვეს მრავალი შეკითხვა, რომელზეც მან გასცა ამომწურავი პასუხები.

ინგერვიუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ჯემალ სალინაძე: საქართველოს ბედი ჩვენ უნდა განვსაზღვროთ

ცაგერის №91 საუნაღო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე ჯემალ სალინაძე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შრომითი კოლექტივის კრებამ. რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სადეპუტატო მოღვაწეობა და საარჩევნო პროგრამის შესრულების საშუალებები?**

მომავალი უზენაესი საბჭო მუდმივმოქმედი საკანონმდებლო ორგანო იქნება და ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია დეპუტატთა განთავისუფლება ძირითადი სამუშაო ადგილიდან. მით უფრო, რომ ჩვენ ახლა ვიწყებთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, რაც შეთავსებითი მუშაობით ძნელი წარმოსადგენია. რაც შეეხება სამოქმედო პროგრამას, იგი ამომრჩეველთა აზრის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს. მისი შესრულების საშუალებები დამოკიდებული იქნება უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაზე, მაგრამ სესიებზე საკითხების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ მთელი ერის და არა ცალკეული კუთხის ინტერესები.

*** რა შეგძინათ გარდაქმნამ, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლამ?**

ადამიანის გარდაქმნისა ნაკლებად მჯერა. განმიმტკიცდა რწმენა, რომ ბრძოლის გარეშე თავისუფლებას არავინ გვაჩუქებს. ამჟამად სიმართლისათვის ბრძოლაში გამარჯვების მეტი შესაძლებლობა არსებობს. თუმცა ნამდვილი საჯაროობისა და დემოკრატიისაგან ჯერ შორსა ვართ. უკვე გამოაშკარავდა მრავალსიტყვაობაში გაწაფული ბევრი პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერის ნამდვილი სახე.

*** როგორ გესახებათ ცაგერის რაიონის მომავალი ხუთწლედი?**

ეკონომიურად იმდენად კრიზისულ მდგომარეობაში ვართ, რომ მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია. ისე კი ვისურვებდი და ვიზრუნებდი იმისათვის, რომ ქალაქს ჰქონდეს ცენტრალური გაობობა, კანალიზაცია, ახალი წყალსადენი და ბუნებრივი საწვავი გაზი. ვფიქრობ, გაუმჯობესდება სოფლების მდგომარეობა, რადგან მიწა მალე გლეხის საკუთრება იქნება. რაიონის მომავალი იმაზედაც იქნება დამოკიდებული, თუ ადგილობრივი საბჭოს როგორ დეპუტატებს ავირჩევთ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს სამოქმედო სფეროში გარდაქმნა?**

თუ რამეს სჭირდება გარდაქმნა, პირველ რიგში განათლების სისტემას. უმაღლესდამთავრებული ბევრი გვყავს, უმაღლესი განათლების მქონე კი—ცოტა. მოსაგვარებელია ეროვნული სკოლის შექმნის საკითხი, მიუხედავად მრავალი რეფორმისა, კვლავ ქაოსია მოსწავლეთა პროფესიული მომზადების საქმეში. პრაქტიკულად არაფერი კეთდება მასწავლებელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ახლახან მიღებული ეროვნული სკოლის კონცეფციაც ქაღალდზე დარჩება, თუ მასწავლებელი უყურადღებოდ დავტოვეთ. დეპუტატ მასწავლებელს ბევრის გაკეთება შეუძლია განათლების სისტემისათვის. წინასაარჩევნო პერიოდში უკვე ვგრძნობ რაიონის მასწავლებელთა მხარდაჭერას, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევების სიმრავლე. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეთა დიდი ნაწილი უმეთვალყუროდაა მიტოვებული, სწორედ ამიტომ მოვითხოვ ქალებისათვის 6 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, რომ სკოლიდან დაბრუნებულ მოზარდს შინ დედა დახვდეს. დედის როლის უგულებელყოფა სიკეთეს არ მოგვიტანს.

*** თქვენი პოზიცია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მიღწევის საშუალებები?**

დეპუტატობის ყველაზე საუკეთესო ვარიანტით არჩევის შემთხვევაში კი (რაც პრაქტიკულად გამორიცხულია), სრულყოფილი პარლამენტი არ გვექნება. ფაქტიურად კვლავ ორხელისუფლებიანობა გვექნება: უზენაესი საბჭო და ეროვნული ხსნის კომიტეტი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ერთის „აღმა ხნული“, მეორემ „დაღმა ფარცხოს“. ვემხრობი აზრს ეროვნული სათათბიროს შექმნის შესახებ, რომელიც ეროვნული ძალების კონსოლიდაციას მოახდენს, პარლამენტური ბრძოლა უმოქმედობას და ლოდინს როდი ნიშნავს. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შეექმნათ სათანადო წანამძღვრები, ცენტრის დაუკითხავად მივიდოთ საქართველოს ბედის განმსაზღვრელი კანონები და გავატაროთ ისეთი პოლიტიკა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო მშვიდობა.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის არჩევით კიდევ უფრო შეიზღუდება მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებები. ამიტომ შეიძლება დღის წესრიგში დადგეს რესპუბლიკაშიც საპრეზიდენტო ინსტიტუტის შექმნა, მაგრამ პრეზიდენტის ხრჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ საყოველთაო პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

კითხვა: როგორია პარტიული სასჯელის მოქმედების ვადები?

პასუხი: წესდების მიხედვით, არაუგვიანეს ერთი წლისა პარტიული სასჯელის გამოცხადებიდან, პარტორგანიზაცია მოისმენს კომუნისტისაგან როგორ გამოასწორა დაშვებული შეცდომები. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოეხსნა სასჯელი. თუ პარტორგანიზაცია ჩათვლის მიზანშეწონილად, შეიძლება დააყოვნოს სასჯელის მოხსნა. იმ შემთხვევაში, როცა კომუნისტმა არა მარტო შეიგნო, არამედ კიდეც გამოასწორა თავის ნაკლოვანებები, პარტორგანიზაციას შეუძლია განიხილოს სასჯელის მოხსნის საკითხი ერთი წლის ვადის შესრულებამდეც.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: ქალაქის საბჭოს აღმასკომის პარტორგანიზაციაში ჩავატარეთ დამატებითი არჩევნები ბიუროდან გასული წევრის ადგილზე. კომუნისტების წინადადებით, მიუხედავად კრებაზე დამსწრე პარტიის ქალაქკომის წარმომადგენლის წინააღმდეგობისა, არჩევა ჩატარდა ღია კენჭისყრით. პარტიის ქალაქკომმა გააუქმა ჩვენი გადაწყვეტილება. გვინდა ვიცოდეთ აზრი ამ კითხვაზე — ვინაა ჩვენს შორის მართალი?

პასუხი: თქვენი პარტიული ორგანიზაციის პოზიციას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ვფიქრობთ, ისინი პარტიული ცხოვრების ფორმების უცოდინარობის გამო წავიდნენ პარტიის ამჟამად მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევაზე. მისი 22-ე პარაგრაფის თანახმად: „დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევა პარტკომის წევრები, პირველადი და საამქროს პარტორგანიზაციის ბიურო“.

როგორც არჩეული, ისე დამატებითად არჩეული პარტკომის წევრები, ბიურო სარგებლობენ სრულიად ერთნაირი უფლებამოსილებით. აქედან მომდინარეობს ამ პარტიულ ორგანოებში დამატებითი არჩევნების დახურული (ფარული) კენჭისყრა.

ამ სიტუაციაში მართალი ქალაქკომია.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“.

მიტინგი ცაგერში

12 მარტს, რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის ინიციატივით ცაგერში, სარაიონო კულტურის სახლის წინ მოეწყო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის შექმნას, კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონს, რაიონის ცხოვრებაში მომწიფებულ სხვადასხვა პრობლემებს, მათი გადაწყვეტის აუცილებლობას.

მიტინგზე გამოვიდნენ რ. კოპალიანი, გ. ჯიაძე, ა. ჩაკვეტაძე, მ. სტურუა, ე. გუგავა, ნ. ნემსაძე და სხვები. მათ განაცხადეს, რომ სსრ კავშირში პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა ეს ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის კიდევ უფრო დაცემას, დაქვეითებას, იმ მცირე უფლებამოსილების დაკარგვას, რასაც ამ ბოლო პერიოდში მივაღწიეთ. პრეზიდენტის პოსტი სრულიად მოულოდნელია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში და მის შექმნას არავითარი რეალური საფუძველი არ აქვს. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის პოსტის შემოღებით ცენტრის პოზიცია, იმპერიის ფუნქციები ძლიერდება. ამიტომ მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

მიტინგზე გამოსულებმა დააყენეს საკითხები ქალაქ ცაგერში ლენინისა და სტალინის ქუჩების სახელწოდების შეცვლის, საკოლმეურნეო მიწების რაც შეიძლება დროულად გლეხებზე სამემკვიდრეო უფლებით გადაცემის, რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ თავისუფალ, ნამდვილ სახალხო გაზეთად გადაქცევის შესახებ.

ეკონომიკური სუვერენიტეტი: რეალიზაციის გზები

ეკონომიკური სუვერენიტეტი ამჟამად რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობის პრაქტიკულად ერთადერთ სწორ ფორმად გვესახება. საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის პროექტში მოცემულია რესპუბლიკის მთელი სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ზუსტი სურათი. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თავისი შეხედულებანი გამოთქვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა ნოდარ გელაშვილმა:

— ახლა ხშირად ვლაპარაკობთ, რომ პირველ ხანებში, გარდატეხის დროს გაგვიჭირდება. მე უფრო მწვავედ დავსვამდი კითხვას: როგორია მთელი ერისა და თითოეული ჩვენგანის გადარჩენის შანსი? არის თუ არა ეროვნული ხსნის გარანტია? მიმაჩნია, რომ ასეთი კითხვა უნდა დაისვას და მასზე პასუხი უნდა გაიცეს ახლავე, დღესვე. ხვალ შეიძლება უკვე გვიანი იყოს.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ წარმოშობილ სიძნელეთა გაღრმავება, საჭიროა უზრუნველყოთ ეკონომიკურ სუვერენიტეტზე ეტაპობრივი გადასვლა. ჩემი აზრით, ასეთი ძირითადი ეტაპი უნდა იყოს სამი. **პირველი,** მოსამზადებელი, მოიცავს, ასე ვთქვათ, რესპუბლიკის, რაიონის ან ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკურ გამოკვლევას. მის საფუძველზე უნდა მოხდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი ეკონომიკური მეურნეობრიობის სისტემის მოთხოვნილებათა შესაბამისად შეფასება, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებში. ამავე ეტაპზე უნდა გამოვლინდეს რაიონში მოქმედი მეურნეობრიობის ეკონომიკური სისტემის დეფექტები, მისი სპეციფიკა, თვისებრივი თავისებურებანი. ყოველივე ეს გახდება რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შემუშავების საფუძველი.

მეორე ეტაპი მოიცავს მართვის სისტემის სრულყოფას, რომელშიც შევა ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორიცაა: დაგეგმვა, ბუღალტერია, აღრიცხვა, ეკონომიკური ანალიზი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. მაგრამ მეორე უტაპზე უმთავრესი მაინც ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაა, რომლებიც მოიცავენ როგორც ეკონომიკურ სფეროს, ისე სოციალურს.

და, ბოლოს, **მესამე** ეტაპი — რესპუბლიკის, რაიონის, ქალაქის ეკონომიკური დამოუკიდებლობის სისტემის დანერგვა და შემდგომი განვითარება. ამ ეტაპზე რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უნდა დაიწყოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის სისტემის დანერგვა. ხოლო შემდეგ დანერგვის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით მისი საბოლოო დამუშავება. რასაკვირველია, ჩემს მიერ შემოთავაზებული ეტაპებით ეს სისტემა არ შემოიფარგლება. იგი უამრავ დეტალსა და ნიუანსს მოიცავს, შეიძლება ბევრი მათგანი სადაოც იყოს, მაგრამ ამჟამად, ჩემი აზრით, მთავარია, რომ თითოეულმა ჩვენგანმა პირადად მიიღოს მონაწილეობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ღრმა გარდაქმნაში, რაზეც ლაპარაკი იყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტს

საქმიანად, მომავლის განჭვრეტით

მოვლენათა განვითარებამ, რესპუბლიკის თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, სრულ ეროვნულ სუვერენიტეტზე გადასვლის ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ქართული ეროვნული სახალხო განათლების სისტემის შექმნის აუცილებლობის საკითხი. 3 იანვარს გაზეთ „სახალხო განათლებაში" გამოქვეყნდა „საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია" (პროექტი) სახალხო განხილვისათვის. სახალხო განათლების ორგანოებში, სასწავლებლებში მიმდინარეობს ამ დოკუმენტის განხილვა და საინტერესო წინადადებები და მოსაზრებები იგზავნება განათლების სამინისტროში, რომ შედგეს სასკოლო განათლების ოფიციალური კონცეფცია, რომელზეც მუშაობენ სარედაქციო ჯგუფები.

საინტერესოდ მოეწყო საქართველოს სასკოლო კონცეფციის პროექტის განხილვა ლაცორიის საშუალო სკოლაში. პედაგოგიური საბჭოს წევრებმა მოიწონეს კონცეფციაში ჩამოყალიბებული საკითხები, რომლებიც ქმნიან საფუძვლებს ქართული ეროვნული სახალხო განათლებისათვის.

სასკოლო კონცეფციამ — ითქვა პედაგოგების მიერ პედსაბჭოზე — სრულად უნდა წარმოაჩინოს ყმაწვილის სული. იგი მოწოდებულია იმისათვის, რომ აღზარდოს საქართველოს ერთგული და პატივისმცემელი მოქალაქე, მშრომელი, განსწავლული, თავისუფლად მოაზროვნე, კაცთმოყვარე, მაღალზნეობრივი, მშვენიერების აღმქმელი და ჯანმრთელი. საქართველოს სკოლის აღზრდილი თავს უნდა გრძნობდეს როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის სულიერი და ინტელექტუალური მონაპოვარის ღირსეულ მემკვიდრედ.

სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია რესპუბლიკის სახალხო განათლების წინსვლისა და სრულყოფის გზაზე. მათი აზრით კონცეფციაში ფართოდ უნდა აისახოს სკოლის საფინანსო სამეურნეო საქმიანობა. სოფლის სკოლაში მცირე დატვირთვის მქონე ყველა მასწავლებელს უნდა მიეცეს სრული განაკვეთით ანაზღაურება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ქართული ეროვნული სკოლის საფუძველი უნდა იყოს დაწყებითი სკოლები და სწორედ აქ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სწავლების ამ მეტად თავისებურ საფეხურზე პედაგოგებად მუშაობენ არასპეციალისტები, ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირები, რაც ახლო პერიოდში უნდა გასწორდეს. ამასთან ერთად მიზანშეუწონლად ჩათვალეს სოფლად, განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები, 6 წლის ასაკის ბავშვების პირველ კლასში მიღება. მოითხოვეს სოფლებში ბავშვთა მცირე რიცხვზე გაიხსნას ბაღები, რადგანაც აქ აღზრდილი ბავშვები სკოლაში უფრო აქტიურები და გონებაგახსნილები არიან.

ბევრი ითქვა ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე და მოითხოვეს სრულყოფილი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნის დაჩქარება, დაწყებითი სკოლის პირველ, მეორე, მესამე კლასებში უნდა აღიკვეთოს რუსული ენის სწავლება და მის ხარჯზე გაიზარდოს დედა-ენის გაკვეთილები. ქართული სკოლებისათვის რუსული ენის სხვადასხვა ლექსიკონები უნდა გამოვიდეს იმ რაოდენობით, რომ ისინი ჰქონდეს ყველა სკოლას.

მიზანშეწონილად მიიჩნიეს გაიზარდოს საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საათები. დაჩქარდეს საქართველოს ისტორიის სტაბილური სახელმძღვანელოების დაბეჭდვა და მოსწავლეებისათვის დროული მიწოდება. ასევე დაჩქარდეს საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული რუკების, ატლასების, დიაფილმებისა და სწავლების სხვა ტექნიკური და თვალსაჩინო მასალების გამოცემა. ქართულ [illegible] კარგი იქნება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკები პრესაში [illegible] ონის ისტორიის ამსახველ მასალებს.

ქართული სახალხო განათლების ეროვნული სისტემის შექმნა მისასალმებელია, რადგან ძირითადად მასზეა დამოკიდებული რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაჭრა, ქართველი ერის მომავალი. ამისათვის კი სხვა ფაქტორებთან ერთად გარდაქმნას საჭიროებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის მოწესრიგება დიდ თანხებს მოითხოვს და ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგებმა მხარი დაუჭირეს რესპუბლიკაში დაყენებულ წინადადებას, რომ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ საზოგადოებასთან შეიქმნას ქართული ეროვნული სახალხო განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნორმალიზაციის ფონდი. ამ ფონდში თავიანთ დანაზოგებს სხვებთან ერთად შეიტანენ პედაგოგები, სოფლის მშრომელები.

სასკოლო განათლების კონცეფცია ჩვენი მომავალი თაობის სრულყოფილად აღზრდის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

ვლ. დავითულიანი.

საით მიდიხარ სოფელო?

★

ფიქრები საანგარიშო კრებების შემდეგ

დიდი ხანი არ არის, რაც საანგარიშო კრებები დასრულდა. სხვა დროს ჩატარებული კრებებისაგან წლევანდელი კრებები გამოირჩეოდა ხალხმრავლობით, საკითხების დაყენებაში გაბედულებით, თითქმის ყველა კრებაზე დაისვა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხი, მაგრამ ბევრი რამ ჩვენი მშრომელებისათვის ბუნდოვანი, ჯერ კიდევ გაურკვეველი დარჩა.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან აგრარულ პოლიტიკაში წლების წინათ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა საკმაოდ შეარყია მიწათმოქმედების, სოფლის მეურნეობის მართვის სასიცოცხლო მექანიზმი. საჭირო გახდა ახალი გზების, ახალი ფორმის, ახალი მოდელის ძიება, როგორც მმართველობის, ისე წარმოების სფეროში. როგორც ყველგან, რესპუბლიკის სხვა რეგიონებში, ჩვენთანაც საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში მოიჯარეები, კოოპერატორები გამოჩნდნენ, ახლა კი საფუძველი ეყრება სულ სხვა იდეას, გლეხური მეურნეობის ჩამოყალიბებას.

ჩვენთან, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის წინ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, სიძნელეები და პრობლემები ყოველგვარი სიახლის დანერგვას ახლავს და კოლმეურნეობების დაშლისა და გლეხური მეურნეობის ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს კი, მით უმეტეს, მიუხედავად იმისა, რომ გლეხური მეურნეობის დამკვიდრების საკითხს დიდი ინტერესით შეხვდნენ ჩვენი რაიონის მშრომელები. ამას მოწმობს თუნდაც ჩვენს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც სხვადასხვა კუთხითაა გაშუქებული — ზოგი თანახმაა, ზოგს კოლექტიური შრომა ურჩევნია, ზოგი საიჯარო შრომის მომხრეა და ეჭვის თვალით უყურებს მომავალს, ბუნებრივია, ფრთხილობს, ეშინია გლეხს, მსგავსად ადრინდელისა ისევ მოტყუებული, წაგებული არ დარჩეს.

არადა რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა ზარალიანია და თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლა არ შეუძლია, ბოლოსდაბოლოს დაგვრჩა მხოლოდ ორი გზა, ან საიჯარო შრომის გაფართოება, კოოპერატივების ჩამოყალიბება, ანდა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა, თუმცა, ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობებში საიჯარო შრომის ორწლიანმა გამოცდილებამ დადებითი შედეგი აჩვენა, მაგრამ მაინც შრომის ადმინისტრირების მეთოდია, მაინც მეურნეობების განკარგულებაშია და შეზღუდულად ითვლებაო, — საყვედურობენ. უკმაყოფილოა მუშა კაცი, რადგან იცის, რომ სულ სხვაა გლეხური მეურნეობა, აქ სრული დამოუკიდებლობა მწარმოებელს ეძლევა, როგორც წარმოების, ისე რეალიზაციის პროცესში და, ბუნებრივია ამ სიახლით იმიტომ დაინტერესდა. ამ დროს მეტისმეტი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო, გამორიცხულია თავსმოხვეული აზრები, რადგან გლეხმა თვითონ უდა გააქეთოს დასკვნა და მიწის პატრონობა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იკისროს, მიწისაკენ პირი შემოიბრუნოს.

არის ამ დროს სხვა პრობლემები, სხვადასხვა საკითხები, რომლებსაც ჩვენი სოფლის მშრომელები სულ სხვა თვალით უყურებენ და არც თუ უსაფუძვლოდ. დიდი სიძნელეებია გადასაწყვეტი, ჯერ ერთი, რომ მოსაგვარებელია მექანიზაციის საკითხი, ზოგი კოოპერატივების შექმნას მოითხოვს, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მიწათმოქმედებს, კერძო მწარმოებლებს, ეს კარგია, მაგრამ აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მომსახურების ფასი, რა დაუჯდება კერძო მწარმოებელს ამა თუ იმ ფართობზე მიწის დამუშავება, ჩვენს მშრომელებს აინტერესებთ ასევე სოციალურ სფეროში გადასაწყვეტი საკითხების ამთავითვე რეგულირება, როგორი იქნება გლეხისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები. აუცილებელია ასევე ობიექტურად განისაზღვროს მიწის ნაყოფიერება, საგადასახადო ფასების ოდენობა და სხვა.

ასე რომ გადასაწყვეტი უნდა გადაწყდეს.

გლეხური მეურნეობის დამკვიდრება, რა დავარქვათ ამ გზას? ქართული სოფლის განახლებააღორძინება? ღმერთმაც ქნას, რომ ერთი გოჯი მიწაც არ დაგვრჩეს მეპატრონის გარეშე, განახლდეს და მოღონიერდეს ჩვენი სოფლები, შეჩერდეს, შეწყდეს მიგრაციის, ეს ყველაზე მტკივნეული პროცესი — აი, საით უნდა წავიდეს ჩვენი სოფელი. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის არსი და მიზანიც ხომ სწორედ ესაა.

ჯ. მანდარია.

ჩვენ გვწერენ

გვეიმედება

40 წელია ღვირიშის საექიმო უბანში ექთნად მუშაობს შურა დავითის ასული გუგავა. დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს იგი მთელ სოფელში. როცა უბანში ექიმი არაა, თუ ვინმეს გაუჭირდება, შურას მიმართავენ. იციან, რომ დახმარებას აღმოუჩენს, თანაც ისეთ იმედს მისცემს, ზოგჯერ ავადმყოფს წამალზე მეტად რომ ესაჭიროება. მისთვის არც დღისით, არც ღამით, არც დარსა და ავდარში არ არსებობს უკან დახევა.

ლამაზი ოჯახი აქვს. მეუღლე გივი გუგავასთან ერთად სამი შვილი აღზარდა: ტრისტანი ღვირიშის საშუალო სკოლის დირექტორია, ბუგლინი — მშენებელი ინჟინერი, იზო კი — მასწავლებელი.

ხარობს შურა და ამ სიხარულს, სიყვარულსა და იმედს უხვად აფრქვევს თანასოფლელთა შორის.

მინდა ვუსურვო კვლავაც დიდხანს იდგეს ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

მ. ახვლედიანი.

სოფ. ღვირიში.



ნუცუბიძის პლატოსაკენ მიმავალი აღმართის ავლა მცხოვრებლებს ავტობუსით უწევდათ. ახლა მრავალი მათგანი უკვე აღარ ელოდება ტრანსპორტს. თბილისელმა მშენებლებმა მათთვის შექმნეს უჩვეულო საჰაერო გადასასვლელი. საკმარისია ავიდეთ ლიფტით მე-14 სართულზე და სულ ორიოდე წუთში უკვე ნუცუბიძის პლატოზე აღმოვჩნდებით.

ლითონის მალებმა, რომლებმაც ერთმანეთს დაუკავშირეს სამი კორპუსი, მოხერხებული პირობები შეუქმნეს როგორც ქვედა მიკრორაიონის, ისე ამ მაღლივი კორპუსების მცხოვრებლებს.

ახალმა ტრანსპორტმა მნიშვნელოვნად დაუახლოვა ქალაქს და უფრო ხელმისაწვდომი გახადა ზედა პლატოზე აშენებული სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრი.

სურათზე: უჩვეულო საჰაერო გადასასვლელმა ლითონის მალებით დაუკავშირა ერთმანეთს ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე სამი კორპუსი.

გზა მშვიდობისა!

ულოცავენ ჩვენს გაზეთს

ძვირფასო რედაქცია! მოგესალმებით და სულითა და გულით გილოცავთ „ლეჩხუმის“ ახლად დაბადებას.

ჩვილის დაბადება უჩენს ხოლმე თავსატეხს მშობლებსა და ახლობლებს. მერე და რად გაიჩინეთ თავსამტვრევი, იტყვის მავანი და მავანი, სახელწოდებით როდი გაზომილა გაზეთის ავ-კარგიო, მაგრამ კარიბჭე მაინც მისი სახელწოდებაა, ცხადია თავი და თავი ისაა, რაც კაცს მის მიღმა დახვდება, მაგრამ ოჯახი მაინც კარით იწყება და ეს ბევრს ნიშნავს.

ყველამ იცის, თუ როგორ ელოდა ახალ სახელწოდებას მთელი ლეჩხუმი. ეს მის ყრმობასთან კავშირის გაწყვეტა კი არა, ეროვნულ ტვირთთან შეჭიდების განაცხადია. ღმერთმა ქნას, რომ მას მუდამ მუხლჩაუხრელად ეტარებინოს ის სახელი, რომელიც ასე ალალად დაიდგა მხრებზე.

მეც დავულოცავ დაბადებისა და ნათლობის დღეს ჩვენს გაზეთს და ვუსურვებ იყოს ჭეშმარიტი მსახური, ხან შავი მუშა და ხან ფხიზელი გუშაგი ჩვენი მშობლიური კუთხისა.

გამარჯვების გზით ევლოს „ლეჩხუმს“, გზა მშვიდობისა!

მაია შეკიშვილი,
უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ჩვენს ქვეყანაში

●

შეჯიბრება—სოციალისტურ ბაზარზე

რიგა. ლატვიის პროფესიული კავშირების საბჭომ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან რესპუბლიკაში აღარ ჩატარდება საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებები. აქ მიაჩნიათ, რომ შეჯიბრება უნდა გამოვლინდეს სოციალისტურ ბაზარზე, ხოლო ჯილდოებით აღინიშნოს ბაზარზე, აუქციონზე, საქონლის ბირჟაზე მოპოვებული წარმატება. პროფკავშირებმა უარი თქვეს შიდასაქარხნო შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ვინაიდან, მათი აზრით, ეს შრომითი კოლექტივის საბჭოს საქმეა, თუმცა გამარჯვებულთა გამოვლინება მათი თვალთახედვის არეში დარჩება.

(საკდესი).

ბჟუჟიკალისტის ტვირჩევს

ვებრძოლოთ ხეხილის მავნებელს

დასავლეთ საქართველოს რაიონებში თესლოვანი ხეხილის უმოსავლიანობის (ან დაბალი მოსავლის) ძირითად მიზეზად სუსტ ყვავილობას ასახელებენ. გამოკვლევებით დადგინდა, რომ სუსტი ყვავილობის ძირითადი მიზეზი კოკრეჭამია ცხვირგრძელა არის.

ხეხილს აზიანებს მავნებლის ხოჭო და მატლი. გაზაფხულზე ხოჭო იკვებება გაუღვიძებელი სანაყოფე კვირტებით. ხოლო მატლები მტვრიანებით და ბუტკოთი, ამავე დროს მატლი სანერწყვე ჯირკვლებიდან გამოყოფილი სეკრეტით აწებებს გვირგვინის ფურცლებს, რის გამოც კოკორი ვეღარ იშლება, კარგავს ბუნებრივ ფერს, ხმება და ცვივა.

თბილ გაზაფხულზე, როცა ტემპერატურა 20 გრადუსს აღწევს, მატლები ვერ ასწრებენ გვირგვინის ფურცლების შეწებებას, რის გამო კოკრები ერთდროულად იშლებიან და მატლების დიდი ნაწილი ძირს ცვივა და იღუპება. ამით მცირდება ერთი მხრივ დანაკარგები, ხოლო მეორე მხრივ მავნებლის რიცხოვრობა, მაგრამ თუ გაზაფხული გაგრძელდა, ტემპერატურა დაეცა, მაშინ მატლები ინტენსიურად იკვებებიან კოკრის შიგნითა მტვრიანით ბუტკოთი. ეს კი უმოსავლობის ძირითადი მიზეზი ხდება.

ბრძოლის ღონისძიებანი: პირობები, რომლებიც განსაზღვრავს მავნებლის მიმართ ქიმიური ბრძოლის აუცილებლობას, არის მავნებლის ძლიერი გავრცელება. წინა წლის 100 ყვავილედიდან 10 ჩავარდნილი ყვავილიც რომ იყოს, უნდა დავიწყოთ წამლობა. წამლობა ძირითადად მიმართულია მეზამთრეობიდან გამოსული ხოჭოს მიმართ და უნდა ჩატარდეს საყვავილე კვირტების დაბერვისას (მატლის III ეტაპი) კოკრების განცალკევებამდე.

ქიმიური სამუალებებიდან რეკომენდებულია ერთი რომელიმე პრეპარატი: ფოზალონი 0,3 პროცენტიანი, ქლოროფოსი 0,2 პროცენტიანი, მეტაფოსი 0,3 პროცენტიანი.

ბრძოლის დროული ღონისძიების ჩატარებით შენარჩუნებული იქნება მაღალი და სტაბილური მოსავალი.

ნანული შალამბერიძე,
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გდრ. ამ უნიკალურ - შინაურ ცხოველზე მსოფლიოში ცნობილ გინესის რეკორდების წიგნში ვერაფერს წაიკითხავთ. ამის მიუხედავად ცნობილი გახდა საკმაოდ ფართო მასშტაბით. 300 კილოგრამიან 13 წლის ილისი (ყველაზე ხნიერი დედა ღორია რესპუბლიკაში) შთამომავლობა (ჯერ-ჯერობით 313 გოჭი) მთელ ფერმას შეადგენს.

სურათზე: ერთ-ერთი ყოველდღიური გასეირნება მეღორე გერხარდ ცორნეს თანხლებით.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნარჩენების ბიოლოგიური გადამუშავება

კარგ მეურნეს ტყუილუბრალოდ არაფერი არ ეკარგება. ეს ცხოვრებისეული ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დასტურდება ერთობლივი პროექტით, რომელსაც ამჟამად ახორციელებენ ფინეთის კომუნები ვასა მუსტასარი, რომლებიც ქვეყნის დასავლეთი ნაწილის ბოტნის ყურის სანაპიროს მეზობლად არიან განლაგებული. მათ გადაწყვიტეს თავიანთი ძალისხმევა გაერთიანონ პროზაულ, მაგრამ ყოველი ქალაქისათვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში—ნაგვისა და ნარჩენების უტილიზაციაში. ასე გაჩნდა მუსტასარში ქარხანა, რომელსაც ეურნალი „ფინიშ ტრეიდ რევიუ“ მისი თავისებურების გამო მთელ მსოფლიოში ერთადერთს უწოდებს.

ამჟამად კონცერნში „ოუტოკუმპუ“ მიმდინარეობს ასამუშავებელ—გასამართი სამუშაოები, მუშავდება ტექნოლოგიური პროცესები. ქარხანაში ორგანული ნარჩენები ბიოლოგიურად დამუშავდება, რომლის საბოლოო შედეგი იქნება ჰუმუსი და ბიოგაზი. პირველი ნივთიერება გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერების გასადიდებლად, მეორე წარმოადგენს მეთანისა და ნახშირორჟანგის საწვავ ნარევს და შეიძლება სათბობის სახით იქნეს გამოყენებული. პროექტის ავტორებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველწლიურად ქარხანა აწარმოებს 3 მილიონამდე კუბურ მეტრ ბიოგაზს, რაც ათას ტონაზე მეტი ნავთობის ექვივალენტურია. გათვალისწინებულია, რომ გაზს მიაწვდიან ახლომდებარე სამრეწველო საწარმოებს, რომელთაც ამ სახის სათბობზე არსებითად დაუზოგავს სახსრებს.

ამ უნიკალურ საწარმოში ყველა ტექნოლოგიური პროცესი ორგანიზებულია ჩაკეტილი ციკლის პრინციპით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქარხანა აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება გარემოსათვის. თვით ნარჩენების კომპოსტირების დროს უცილობელი არასასიამოვნო სუნიც კი პრაქტიკულად არ შეიგრძნობა, ვინაიდან გადამუშავებული ჰაერი ატმოსფეროში გაიბნევა მას შემდეგ, რაც ბიოფილტრების სისტემაში გაიწმინდება.

ა. სურიკოვი,
საკდესის კორ.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ზაფხულის დროის მოქმედების პერიოდის დაწყების შესახებ

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და საეტალონო სიხშირეების სახელმწიფო კომისია იუწყება, რომ 25 მარტს იწყება 1990 წელს ზაფხულის დროის მოქმედების პერიოდი.

ამასთან დაკავშირებით 1990 წლის 25 მარტის 2 საათზე საათის ისრები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უნდა გადაიწიოს ერთი საათით წინ.

ქალაქის მოსახლეობის საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 20 მარტს ვატარებთ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. გთხოვთ ქალაქის მოსახლეობას ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლ სადგურში მოიყვანოთ ძაღლები აცრის მიზნით.

ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგური.

მეუღლე რუბენი, შვილები ბორისი, ჟინვერი, სიძე ვაჟა წიკლაური, შვილიშვილები ბონდო, ჯონდო, გიორგი, დათო, ძმა შოთა გორგასლიძე, რძლები ლეილა, ლამარა, ბაბი, ზაირა, მაზლი გურამ ბურჯალიანი, მულები დოდიკა, ვერა, ლამარა, მაზლიშვილები, მულიშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა მოსეს ასული
გორგასლიძე-ბურჯალიანი.

დაკრძალვა 17 მარტს, შაბათს, სოფ. ორბელში.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო, ხუტუ ბერუჩაშვილებს მაზლისა და ძმის

ავთანდილ ბერუჩაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები მზია, დალი ჩხეტიანები, სიძეები მურთაზ ლიპარტელიანი, ვიტალი სვანიძე, ზურა ზურაშვილი, დათო ბერსენაძე, შვილიშვილები ნინო, ლალი, თამუნა, ოსო, სოფიკო, გია, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ნიკოს ასული
შეკიშვილი-ჩხეტიანი.

დაკრძალვა 17 მარტს, შაბათს, სოფ. ზედა ღვირიში.

ორბელის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ბონდო ბურჯალიანს ბებიის

ნინა ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.